SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლა
სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება
სურსათის ტექნოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაციები
სურსათის ტექნოლოგიის დოქტორი

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებით
პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს.

სწავლების ენა
ქართული

პროგრამის კონცეფცია
სურსათის ტექნოლოგიის მიმართულებით საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს აქვს სათანადო რესურსი სურსათის ტექნოლოგიის დოქტორის მოსამზადებლად, რომელსაც შეეძლება ჩაერთოს სამეცნიერო, პედაგოგიურ ან პრაქტიკულ საქმიანობაში.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი არსებული რესურსებით იძლევა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამის სრულყოფილ გარემოს, როგორც დარგობრივი კვლევითი და სასწავლო საქმიანობის, ისე ინტერდისციპლინური კვლევების წარმოებისათვის.

ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს თანამშრომლობას როგორც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებთან (ინჟინერიის, აგრონომიის, ლანდშაფტის მენეჯმენტის და სატყეო საქმის სადოქტორო პროგრამები), თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ერთობლივ სადოქტორო პროგრამებთან (ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის სადოქტორო პროგრამები), უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებთან, ისე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მქონე სხვა უნივერსიტეტების პროფილურ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებთან. თანამშრომლობა მოიცავს ერთობლივ კვლევებში მონაწილეობას, ერთობლივი საერთაშორისო კვლევების განხორციელებას, სამეცნიერო სემინარების ორგანიზებას და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში სტუდენტებისა და პროფესორების ჩართულობას.

პროგრამის მიზანი

სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევებისა თუ პრობლემების გადასაწყვეტად სამეცნიერო კვლევების ჩატარება.
- ახალი ცოდნის შექმნა და მისი გავრცელება.
- სამეცნიერო კვლევების განხორციელებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების უნარის მქონე კვალიფიციური კადრების მომზადება.
- მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი დოქტორანტს:

- სათანადოდ აწვდის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებულ კურსებს.
- ეხმარება ხელმძღვანელის შერჩევასა და კვლევის ორგანიზებაში.
- სთავაზობს კვლევის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს.
- უქმნის სათანადო გარემოს სამუშაოს ეფექტიანი შესრულებისათვის, კერძოდ, დოქტორანტს აქვს სამუშაო სივრცე და წვდომა როგორც ლაბორატორიებსა და კვლევით ცენტრებზე, ისე დამხმარე რესურსებზე, როგორიცაა ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები და სხვა რესურსები.

სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტებში იმ აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერისათვის. დოქტორანტებს საშუალება ექნებათ

ერთმანეთს გაუზიარონ სამეცნიერო ინტერესები და კვლევის მიმდინარე შედეგები, ჩაერთონ ახალ და მომიჯნავე დარგების კვლევებში კომპლექსური, ინტერდისციპლინარული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტისათვის.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიზანია სწავლების ყველა საფეხურზე, მათ შორის, სადოქტორო დონეზე შექმნას სწავლის, სწავლებისა და კვლევის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გარემო.

სადოქტორო პროგრამა დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფს ისეთ აკადემიური გარემოს შექმნას, რომელიც აუცილებელია როგორც ზოგადი აკადემიური უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის, ისე ინოვაციური, მათ შორის ინტერდისციპლინური, კვლევების წარმოებისა და ახალი, საერთაშორისო სამეცნიერო ღირებულების მქონე ცოდნის შექმნისათვის. ეს კი მიიღწევა პროგრამის ინდივიდუალიზებული მიდგომით, რომელიც ასახულია კურიკულუმის სტრუქტურაში, შინაარსში და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პრინციპებში.

კურიკულუმში ძირითადი აქცენტი გადატანილია კვლევით კომპონენტზე. კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსები კი მიმართულია სურსათის ტექნოლოგიაში მაღალი აკადემიური ღირებულების მქონე კვლევის წარმოებისათვის აუცილებელი ძირითადი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ამასთან, სადოქტორო სემინარები, რომელიც წარმოადგენს სასწავლო კომპონენტის ნაწილს, ეთმობა იმ სამეცნიერო დისკურსების, პრობლემატიკისა და კონცეფციების გააზრებას, რომლებიც აუცილებელია დაგეგმილი კვლევის განხორციელებისათვის.

კვლევითი კომპონენტის ფარგლებში თითოეული დოქტორანტი მუშაობს ინდივიდუალურად და საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელის დახმარებით. დოქტორანტი ვალდებულია ყოველ სემესტრში სამეცნიერო კომისიის წინაშე წარადგინოს ანგარიში პრეზენტაციის სახით ჩატარებული სამუშაოსა და მიმდინარე შედეგების შესახებ. ინტერდისციპლინური კვლევის შემთხვევაში ანგარიშების წარდგენას ესწრება სხვადასხვა (ქვე)დარგის მეცნიერებისაგან შემდგარი კომისია.

სადოქტორო სემინარებისა და კვლევითი კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი ეუფლება მისი დარგისა და საკვლევი თემის შესახებ როგორც არსებულ უკანასკნელ მიღწევებს, მიმდინარე გამოწვევებსა და პრობლემებს, ისე დაგეგმილი კვლევის ჩატარებისათვის საჭირო სპეციფიურ კვლევით მეთოდებს. შესაბამისად, გარდა სასწავლო

კომპონენტით გათვალისწინებული მეთოდების კურსისა, დოქტორანტი სიღრმისეულად შეისწავლის მის დარგსა და თემატიკაზე მორგებულ მეცნიერულ კვლევით მეთოდებს. კვლევის მეთოდების ფუნდამენტურად ათვისება ხდება კვლევითი კომპონენტის ფარგლებში ხელმძღვანელთან ინტენსიური ინდივიდუალური მუშაობისას.

დასაქმების სფეროები

სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს საშუალება ექნება იმუშაოს მეცნიერად ან მკვლევრად კერძო და სახელმწიფო პროექტებში; აკადემიურ პერსონალად უნივერსიტეტში; კონსულტანტად, როგორც კერძო ისე სახელმწიფო ორგანიზაციებში, ტექნოლოგად სურსათის წარმოებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. გარდა ამისა, პროგრამაზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამაზე მიღების შესახებ განცხადება განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამაზე სწავლის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ავტობიოგრაფია (Curriculum Vitae);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ელექტრონული ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა და/ან ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატს აქვს ინგლისურ ენაზე სწავლის და/ან მუშაობის გამოცდილება;
- კვლევის თეზისი/პროექტი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას და უნდა მოიცავდეს საკვლევი თემატიკის წინასწარ აღწერას და მისი მნიშვნელობის დასაბუთებას;
- კვლევის შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი მასალა, როგორიცაა მაგალითად სამეცნიერო სტატია, კონფერენციის თეზისი, სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.

თუ პირს არ აქვს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, მაშინ იგი აბარებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის ტესტს.

ჩარიცხვის მსურველი პირი გასაუბრებას გადის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილ შესაბამის სამეცნიერო მიმართულების კომისიასთან. წარმოდგენილი საბუთების განხილვისა და გასაუბრების საფუძველზე კომისია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს რეკომენდაციას პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ. რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებებს პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

დაინტერესებული პირის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ განცხადების განხილვისას და გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში მიიღება:

- კანდიდატის აკადემიური და პროფესიული გამოცდილება;
- უნარები:
  - ახალი ცოდნის შექმნის პოტენციალი
  - ანალიტიკური აზროვნება
  - კრიტიკული შეფასება

ბოლონიის პროცესის არსიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს, რომ ბარიერები უნდა მოიხსნას საგანმანათლებლო საფეხურებს შორის პროგრესისა და წვდომისათვის (ლონდონის კომუნიკე, 2007) და რომ საგანმანათლებლო სისტემა უნდა იძლეოდეს პროფესიული რეორიენტაციის შესაძლებლობას, სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების შესაძლებლობა შეიძლება მიეცეს სხვა განათლების მქონე კანდიდატსაც. ისეთ შემთხვევაში, თუ კანდიდატი არ ფლობს მაგისტრის ხარისხს სურსათის ტექნოლოგიის დარგში, შესაბამისი დარგობრივი ცოდნა მოწმდება კვლევის შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი მასალით (როგორიცაა მაგალითად სამეცნიერო სტატია, კონფერენციის თეზისი, სამაგისტრო ნაშრომი და სხვა). დამატებით, აპლიკანტი აბარებს ზეპირ/წერით გამოცდას მიმართულების სამეცნიერო კომისიასთან. კომისია დადებით გადაწყვეტილებასთან ერთად ასევე განსაზღვრავს ექსტრაკურიკულარული სწავლის გეგმას არსებული ცოდნის დეფიციტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად და ხელმძღვანელის ინსტრუქტაჟით, დოქტორანტს ეძლევა

შესაძლებლობა კრედიტების მიღების გარეშე გაიაროს შესაბამისი სასწავლო კურსები და/ან კონსულტაციები.

სწავლის შედეგები

სურსათის ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ:

1. დოქტორს კვლევის თემატიკიდან გამომდინარე აქვს სურსათის ტექნოლოგიაში და მის მომიჯნავე დარგებში უახლესი სამეცნიერო მიღწევების გაცნობიერების, სინთეზირებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი და ამ სიახლეების საფუძველზე საკუთარი სამეცნიერო კვლევის ახლებურად გააზრებისა და ჩამოყალიბების უნარი.
2. დოქტორი დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს სურსათის ტექნოლოგიაში კვლევასა და ექსპერიმენტს, წინასწარ დამუშავებული სამეცნიერო ინფორმაციის საფუძველზე.
3. დოქტორს აქვს სურსათის ტექნოლოგიის მიმართულებით კვლევისთვის გამოყენებული ადეკვატური მეთოდოლოგიის შემუშავების და იმპლემენტაციის უნარი, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.
4. დოქტორი დამოუკიდებლად იღებს პრობლემების გადაჭრისათვის სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებებს.
5. დოქტორი დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირს, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატური პოლემიკისას ინგლისურ ენაზე.
6. დოქტორი აცნობიერებს და იცავს პროფესიული, კოლეგიალური, ინტელექტუალური საკუთრების და სამეცნიერო ეთიკის ნორმებს.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამის განხორციელების დროს გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) მეთოდი; დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; პრეზენტაცია; ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; ლაბორატორიული და წერითი მუშაობის მეთოდი.

სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესორი ან პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, უფლებამოსილია იყენებდეს ერთ, რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო-კვლევითი მიზნების მისაღწევად.
კვლევითი კომპონენტის ფარგლებში, დოქტორანტის მუშაობაში ჩართულია ხელმძღვანელიც. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს რეგულარულ რეჟიმში დოქტორანტს და დოქტორანტის ხელმძღვანელს შორის შეხვედრებს, ექსპერიმენტის

დაგეგმვას, მიღებული შედეგების გაანალიზებას, სემესტრში ერთხელ ანგარიშის გაკეთებას სამეცნიერო მიმართულების კომისიის წინაშე.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა
(C) კარგი – 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა
(E) საკმარისი – 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩაბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს
ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთიანად, სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვისას. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

- ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი.
- ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.
- კარგი (*cum laude*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.
- საშუალო (*bene*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს.
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სასწავლო გეგმა

პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ორ კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს როგორც დოქტორანტის კვლევის სფეროში დარგობრივი ცოდნის, ისე მისი აკადემიური უნარების გაღრმავებას. იგი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს:

- არგუმენტირებული წერის ხელოვნება
- სადისერტაციო კვლევის მომზადების მეთოდოლოგია
- რაოდენობრივი კვლევის მეთოდები
- სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი
- სწავლება უმაღლეს განათლების სისტემაში
- სადოქტორო სემინარები

სასწავლო კურსები მორგებულია სადოქტორო პროგრამის სპეციფიკას და ერთი მხრივ ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს ინტერდისციპლინური კვლევისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამოყენებას სადოქტორო თემაზე მუშაობის პროცესში. სასწავლო კურსების (სადისერტაციო კვლევის მომზადების მეთოდოლოგია, სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი, არგუმენტირებული წერის ხელოვნება და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები) ფარგლებში დოქტორანტებს ეძლევათ საშუალება სადისერტაციო კვლევისთვის აუცილებელი ეტაპები განახორციელონ თანამედროვე კვლევის პრინციპების გათვალისწინებით. სასწავლო კომპონენტის მოცემული ნაწილი ემსახურება სადისერტაციო კვლევის პრობლემის ფორმულირებას, კვლევითი კითხვის განსაზღვრას, ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას,

მეთოდოლოგიური მიდგომისა და კვლევითი მეთოდის ინსტრუმენტების შერჩევას, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას, ციტირებას წესების დაცვით და ა.შ.

მეორე მხრივ, სასწავლო კომპონენტი მოიცავს კურსებს, რომლებიც უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემის შესაბამის დარგებსა და ქვედარგებში ცოდნის გაღრმავებას და შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეულ დამუშავებას. ამ მხრივ, დოქტორანტების ინტერესებზე ინდივიდუალურად მორგებული კომპონენტებია სადოქტორო სემინარები, რომელიც ხელმძღვანელთან მუშაობისა და ინდივიდუალური კვლევის პარალელურად შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტს, კონკრეტული დარგის, ქვედარგის ან ინტერდისციპლინური პრობლემატიკის მიმართულებით (თემის სპეციფიკიდან გამომდინარე) დაამუშაოს ლიტერატურა, გაიღრმაოს ცოდნა და ამ ლიტერატურის და თეორიების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს კონკრეტულად მისი თემისთვის რელევანტური კონცეპტუალური აპარატი და მეთოდოლოგიური ჩარჩო. ინდივიდუალური სემინარის ეფექტურობა განპირობებულია მოქნილი სასწავლო პროგრამითა და ხელმძღვანელის გარდა დარგის სხვა სპეციალისტებთან კონსულტაციების გავლის შესაძლებლობით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დარგთაშორის თანამშრომლობას.

კვლევითი კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის მიერ დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო მასალის მოძიებას და გაცნობას, არსებული ცოდნის მიმოხილვას და პრობლემის გამოკვეთას, კვლევის გეგმის შემუშავებას, ექსპერიმენტების დაგეგმვას და ჩატარებას, მონაცემების შეგროვებას, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება/ანალიზს, სადისერტაციო ნაშრომის გაფორმებას, საჯარო დაცვას (სამეცნიერო შეკითხვები, კამათი). კვლევითი კომპონენტი ასევე მოიცავს ორი სამეცნიერო სტატიის სავალდებულო გამოქვეყნებას სადისერტაციო კვლევის შედეგების შესახებ.

პროგრამის კომპონენტების აღწერა

არგუმენტირებული წერის ხელოვნება

სასწავლო კურსი დოქტორანტს აკადემიური ნაშრომის შექმნაში ეხმარება. მასში განიხილება ანგარიშების, სტატიების, სადისერტაციო ნაშრომის წერის წესები და სამეცნიერო ნაშრომის სხვადასხვა ფორმატი და სტილი, მათ შორის ტექსტის შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგების და მათი განსჯის, დასკვნის ჩამოყალიბების მიდგომები და ფორმები სასწავლო კურსში ყურადღება ეთმობა ასევე პლაგიატის მაგალითების განხილვასა და ციტირების სწორ ხერხებს.

სადისერტაციო კვლევის მომზადების მეთოდოლოგია
სასწავლო კურსი ამზადებს დოქტორანტს სადისერტაციო კვლევის ჩასატარებლად. მასში განიხილება კვლევის ძირითადი პრინციპები, კვლევის ალტერნატიული მეთოდები და პროცედურული მიდგომები. იგი დაეხმარება დოქტორანტს კვლევის დაგეგმვაში, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებაში, საჭირო რესურსების მოძიებასა და სხვა მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებაში.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები
სასწავლო კურსი ემსახურება იმ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სიღრმისეულ შესწავლას და დაუფლებას, რომლებიც გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. საგანი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კვლევის სხვადასხვა დიზაინი, მონაცემთა წყაროების იდენტიფიცირება და განმარტება, მონაცემთა შეგროვების და ანალიზის ხერხები, სტატისტიკური ანალიზი და რაოდენობრივი ანალიზის შედეგების გრაფიკული და ვიზუალური წარმოდგენა, კვლევის ეთიკა.

სამეცნიერო პროექტების მენეჯმენტი
სასწავლო კურსი დოქტორანტს აძლევს იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც საჭიროა ნებისმიერი სახის სამეცნიერო საპროექტო განაცხადის მოსამზადებლად და განსახორციელებლად. კურსი შეეხება თანამედროვე მეცნიერების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას, მათ შორის სამეცნიერო იდეის პროექტად ჩამოყალიბების, დაფინანსების მოძიების სტრატეგიებს, პროექტის ციკლების მართვის საკითხებს.

სწავლება უმაღლესი განათლების სისტემაში
სასწავლო კურსი დოქტორანტს აძლევს იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც საჭიროა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში საქმიანობისათვის. კერძოდ, კურსი შეეხება უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის სისტემური მოწყობის საკითხებს - ბოლონიის პროცესს და მის მნიშვნელობას, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის თავისებურებებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

სადოქტორო სემინარები
სასწავლო კურსის „სადოქტორო სემინარების“ ფარგლებში დოქტორანტმა დამოუკიდებლად და/ან ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე უნდა დაამუშაოს დაგეგმილი კვლევის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა და თითოეულ სასწავლო

წელს მოამზადოს ერთი სემინარი. ამასთან, პირველ სემინარზე განხილული უნდა იყოს კვლევის თემის შესაბამის დარგში მიმდინარე კვლევები, მეორე სემინარზე - სადისერტაციო კვლევის სფეროში მიმდინარე კვლევები და მესამე სემინარზე - სადისერტაციო კვლევის სფეროში მიმდინარე კონკრეტული კვლევების მიმოხილვა

კვლევითი კომპონენტი

სადისერტაციო თემის დამტკიცების შემდეგ არაუგვიანეს ერთი თვისა დოქტორანტი და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიმუშავებენ დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმას, რომელიც მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის სათაურს, კვლევის მიზანს, კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის განხორციელების ძირითად ეტაპებს და სავარაუდო გრაფიკს, სემინარების სავარაუდო თემებს და წარდგენის განრიგს.

კვლევითი კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტები ეტაპობრივად ეუფლებიან მათი დარგისა და სადოქტორო ნაშრომის სპეციფიკისთვის შესაბამის დარგობრივ კვლევით მეთოდებს.

დისერტაცია

სადოქტორო დისერტაციაში მოითხოვება ორიგინალური კვლევის ჩატარება, რომელიც ქმნის არჩეულ სფეროში დამატებით ცოდნას. ის წარმოადგენს ფორმალურ აკადემიურ ნაშრომს, რომელიც ასახავს დოქტორანტის მიერ შესწავლილი საკითხის საფუძვლიან გაგებას. დოქტორანტმა უნდა ჩამოაყალიბოს კვლევის მიზანი, პრაქტიკული ღირებულება და წარმოაჩინოს სამეცნიერო სიახლე.. სადოქტორო ნაშრომი უნდა გაფორმდეს უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება

დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე უნდა გამოაქვეყნოს მის საკვლევ თემასთან დაკავშირებული სულ მცირე ორი სამეცნიერო სტატია, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში. სტატია გამოქვეყნებულად ითვლება, თუ იგი მიღებულია ბეჭდვაში გამომცემლობის მიერ (არსებობს შესაბამისი წერილი/ცნობა ან გამოქვეყნებულია ჟურნალის ვებგვერდზე).

ადამიანური და მატერიალური რესურსები

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერები, აკადემიური პერსონალი და აგრეთვე მოწვეული აკადემიური პერსონალი.

დოქტორანტისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში არსებული ყველა რესურსი: ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები, კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები.